შ.პ.ს. „ტელეიმედი"
ქ. თბილისი, ლუბლიანას 5
ტელ.: 246 33 27
E-mail: contact@imedi.ge

ბ-ნ ი. მახარაძეს
ბ-ნ კ. ყურაშვილს

გთხოვთ მოამზადოთ სათანადო განმარტების პროექტი

ვ. აბაშიძე
02.09.2015წ.

01 სექტემბერი, 2015 წელი
# 0550

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ
კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ ვახტანგ აბაშიძეს

გაცნობებთ, რომ შპს "ტელეიმედს" დაგეგმილი აქვს არხის საზოგადოებრივ - პოლიტიკური გადაცემების ფორმატის შეცვლა და მაყურებლისთვის თვისობრივად ახალი, გაუმჯობესებული, მაღალი ხარისხის პროდუქტის შეთავაზება, რის გამოც აუცილებელია არსებული საზოგადოებრივი - პოლიტიკური გადაცემების ეთერში განთავსების დროებითი შეჩერება.

მოგეხსენებათ, შპს "ტელეიმედი" წარმოადგენს საერთო მაუწყებელს, რომლის ერთ-ერთ სალიცენზიო (საავტორიზაციო) პირობას, საქართველოს კანონის „მაუწყებლობის შესახებ" თანახმად, წარმოადგენს არანაკლებ 2 თემატიკის, მათ შორის, ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ - პოლიტიკური თემატიკის პროგრამებით მაუწყებლობა. ასევე როგორც თქვენთვის ცნობილია, არც საქართველოს კანონით „მაუწყებლობის შესახებ" და არც რაიმე სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტით არ არის განსაზღვრული, რა პერიოდულობითა და სიხშირით უნდა განათავსოს მაუწყებელმა აღნიშნული პროგრამები, საკუთარ სამაუწყებლო ეთერში, რათა არ იქნას დარღვეული ზემოთ ხსენებული სალიცენზიო პირობა.

გთხოვთ, გვიპასუხეთ, ზემოთ ხსენებული პროგრამების რეორგანიზაცია-გარდაქმნის პროცესში, რა დროთ არის შესაძლებელი მაუწყებლის მიერ საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების ე თერში გ ანთავსების შ ეჩერება, რათა მაუწყებლის მი ერ უზ რუნველყოფილ იქნას სალიცენზიო ვალდებულებების შესრულება.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

გიორგი გახტაძე